# საქართველოს გუშაგი

საქართველოს ეროვნულ - დემოკრატიული პარტიის ორგანო

წელიწადი მესამე. № 9.
სექტემბერი, 1934 წ. პარიზი
რედაქტორი: სპ. კედია.

La Sentinelle de Géorgie
ORGANE DU PARTI NATIONAL-DEMOCRATE GEORGIEN
Directeur: Sp. KEDIA

3e Année. No 9. — Septembre 1934.
Redaction et Administration
13, rue Pascal, 13 — Paris 5e


## ზოგიერთი აზრები

ბრიუსელში დადებულ კავკასიის კონფედერაციის „პაქტს", რომელსაც ჩვენ ვუძღვნით ცალკე წერილს, გამოეხმაურა გავლენიანი ორგანო რუსეთის ემიგრაციისა, „პოსლედნია ნოვოსტი" ჩვენ გავეცანით მისი წერილის შინაარსს და საჭიროდ მიგვაჩნია ზოგიერთ საკითხთა შესახებ გამოვსთქვათ ჩვენი აზრი.

წერილში, რომელიც წარმოადგენს მოწინავეს, სწორედ არის აღნიშნული, რომ სომხობას არა აქვს მიღებული მონაწილეობა დადებულ პაქტში. საერთოდ დიდი ომის შემდეგ, ამ პატრიოტ და მედგარი ხალხის ეროვნული ხელმძღვანელობა თავის მოქმედებაში მეტის მეტ სიფრთხილეს იჩენს. ეს გარემოება ადვილი გასაგებია, თუ მივიღებთ მხედველობაში ყველა იმ უბედურებას, რომელიც ასე უხვად დაატყდა თავზე ამ მრავალ - ტანჯულ ერს. — დავანებოთ თავი ძველ დროს და ავიღოთ მხოლოდ უკანასკნელი ნახევარი საუკუნე. საკმარისია გავიხსენოთ, თუ რა ძვირად დაუჯდა მას ინგლისისა და რუსეთის ჯერ ტკბილი და თითქოს მეგობრული ჩურჩული და წაქეზება, ხოლო შემდეგ, კრიტიკულ წუთებში, ცივი გულით მასზე ხელის აღება და გამრისხანებულ ოსმალეთთან მარტოდ პირისპირ დატოვება. დაუმატეთ ამას ის ტრაღიკული შედეგები, რომელიც მოჰყვა ვილსონის, ლოიდ-ჯორჯის და კლემანსოს მიერ სევრში აღიარებულ და სიტყვიერად ზღვიდან ზღვამდე გადაშლილ სომხეთს. რა გასაკვირველია, რომ ამ ამბების შემდეგ სომეხთა ეროვნული აზრის მოქმედება ცოტათი შესუსტებული და მეტის მეტად ფრთხილი იყოს?

არიან ისეთი მოვლენები, რომელთა შეცვლა შეუძლებელია ადამიანისათვის. ასეთია ის ფაქტი, რომ სომხის ერი სცხოვრობს კავკასიაში, კავკასიონის ქედის გადმოღმა, და დაგროვილია საქართველოს და აზერბეიჯანის საზღვრებზე. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ ფაქტს ეკუთვნის და მას კიდევაც მიენიჭება გარდამწყვეტი მნიშვნელობა რეალური პოლიტიკის წარმოების პროცესში.

საერთოდ ჩვენთვის ყოველსავე ეჭვს გარეშეა, რომ ტიგრან დიდისა, ვარდან მამიკონიანისა და ახლო წარსულში მრავალ აჯანყებათა უსახელო გმირების ერი შეურყეველი ნებისყოფით ივლის თავის სახელოვან წინაპართაგან ნაანდერძევი გზით და მიაღწევს კიდეც თავის მიზანს, თავის ეროვნულ თავისუფლებას. ამ საქმეში ის არ არის მარტოდ მარტო. მის გვერდით სდგანან მისი მეზობლები, და მათ შორის მისი ორი ათასი წლის მეგობარი ქართველი ერი.

მოსალოდნელია, რომ ეს სიტყვები გამოიწვევენ სარკასტიულ შენიშვნას: გაიხსენეთ 1918 წელში მომხდარი შეტაკებებიო. რა ვქნათ, სიმართლე სავალდებულოა. ასეთი სამარცხვინო საქმე მართლაც მოხდა. მას ჰქონდა მრავალი მიზეზი, და მათ შორის ერთი უმთავრესთაგანი იყო ის, რომ ამ უაღრესად საპასუხისმგებლო ხანაში, ქვეყნის ხელმძღვანელობა ჩაუვარდათ ხელში ისეთ პირებს, რომელთა პოლიტიკური და ისტორიული ჰორიზონტი არასდროს არ გასცილებია მაზრის საზღვრებს და თვეობით გაზომილ ხანას. ეს იყო მიმდინარე რევოლუციის შედეგი.

მიუხედავათ ამისა, ეს შეტაკებები მაინც ისტორიული ფაქტია და ჩვენ მას არ უარვყოფთ. მაგრამ არსებობს მეორე ისტორიული ფაქტიც, გაცილებით მეტი წონისა და მნიშვნელობის: — რუსეთის კავკასიაში შემოსვლამდე, და ორი ათასი წლის განმავლობაში, ქართველთა და სომეხთა შორის არსებობდა მუდამ, და არასდროს არ დარღვეულა, მკვიდრი მეგობრობა და ძმური კავშირი. ეხლა ავიღოთ ეს ორი ფაქტი და დავდოთ სასწორზე. ჩვენ გვგონია, რომ საკითხი ქართველთა და სომეხთა ურთიერთობის ბუნებრივი სახის შესახებ, ერთხელ და სამუდამოდ ყველასათვის გარკვეული დარჩება.

„პოსლ. ნოვოსტი" აღნიშნავს, რომ მის ხელმძღვანელობას, ე. ი. ლიბერალური რუსეთის წარმომადგენლებს, ჯერ კიდევ სახელმწიფო სათათბიროში დაუცავთ რუსეთში მცხოვრებ ყველა ეროვნებათა ინტერესები.

ესეც სიმართლეა. მაგრამ საკითხი არ არის დასმული სწორედ. არა ამა თუ იმ ინტერესების დასაცავად იბრძოდენ და იბრძვიან კავკასიის ერები, არამედ ღვთისა და ადამიანის კანონის დარღვევით წართმეული დამოუკიდებლობის აღსადგენად. ამისი კი რუსული ლიბერალური ორგანო ცხადათ წინააღმდეგია. და არა მარტო მას უკავია ასეთი პოზიცია. ასევე იქცევიან დღეს ლენინის რუსეთი და რუსული ემიგრაცია. ხოლო წარსულში ეს პოზიცია ეკავა ჯერ თვითმპყრობელ რუსეთს, შემდეგ ნახევრად-კონსტიტუციონალურ რუსეთს, შემდეგ კიდევ დროებით მთავრობის რუსეთს, და ბოლოს დენიკინის რუსეთს.

აქედან გამომდინარეობს მხოლოდ ერთი დასკვნა: რუსეთის მთავრობათა პოლიტიკა და საზოგადოებრივი აზრი იყო წარსულში და არის დღემდე ჩვენზე ბატონობისაკენ მიმართული. ჩვენთვის გაუგებარია, რად მოელის პატივცემული ორგანო ამის შემდეგ ჩვენგან სიყვარულსა და მეგობრულ განწყობილებას. განა ბუნებრივია, რომ სხვერპლი ჰყვარობდეს თავის ძალმომრეს?

რუსეთსა და კავკასიის შორის დიდი ხანია სწარმოებს ომი. ეს ომი დაიწყო ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც რუსეთმა ვერაგულად დაარღვია საქართველოსთან 1783 წელს დადებული ხელშეკრულება. ჩვენ ვიცით, თუ რა მოჰყვა ამას. გავიხსენოთ საქართველოს მრავალჯერი აჯანყება, დაწყებული 1802 წლიდან და გაგრძელებული 1820 წლამდე, რომლებიც რუსეთმა სისხლში ჩაახრჩო; გავიხსენოთ 1832 წლის შეთქმულება, დიმიტრი ყიფიანი, ჩვენი დიდი ილია, 26 მაისი, 1921 წელში წითელი რუსეთის შემოსევა და 1924 წლის აჯანყება.

და განა მარტო საქართველო იბრძოდა თავის პოლიტიკური არსებობის დასაცავად! ვინ არ უწყის ის გმირული ეპოპეა, რომლის მწვერვალზე სამუდამოდ შემდგარია დიდებული შამილი!

ვინ არ იცის, რომ ქართულ 26 მაისს წინ უძღოდა მთიელთა 11 მაისი, და მისდევდა აზერბეიჯანელა და სომეხთა 28 მაისი. მაშასადამე, დადგა თუ არა ხელსაყრელი პირობები, კავკასიის ერებმა განახორციელეს ის, რასაც მუდამ ატარებდენ თავის არსებაში.

მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ვერ შევინარჩუნეთ ჩვენი თავისუფლება. მოხდა ეს უმთავრესად იმიტომ, რომ საკმარისად არ გვქონდა შეგნებული კავკასიის საერთო ინტერესების მნიშვნელობა. იმის მაგივრად რომ გვეზრუნა მთლიან კავკასიაზე და მის დამოუკიდებლობაზე, ჩვენ გავეტაცენით ჩვენ ჩვენი ინტერესებით, დავიყავით ცალ-ცალკე და ,სავალალოდ, ერთი მეორესაც კი დავუპირდაპირდით. ეს გარემოება გადაიქცა საბედისწერო მოვლენად.

დღეს მდგომარეობა, მადლობა ღმერთს, შეცვლილია. არამც თუ შეგნებული გვაქვს ჩვენი უბედურობის მთავარი მიზეზი, არამედ გამოვიტანეთ კიდეც ამ უბედურებიდან საჭირო დასკვნები. დღეს ყველანი ერთად ვართ. და თუ სომეხთა ხმა არ ისმის ჩვენთა შორის ჯეროვანის ძალით, ეს მხოლოდ წარმავალი მიზეზების ბრალია. ხოლო არსებითად ისინი ჩვენთან, კავკასიის ერებთან ერთად არიან. განა 1921 წელში მათ არ ამართეს ეროვნული თავისუფლების დროშა და არ გააჩაღეს აჯანყება შემოსეულ მოსკოვის წინააღმედეგ?

ბრძოლა რუსეთსა და ჩვენს შორის არ შემწყდარა და არ შესწყდება. ის მიიღებს ხან ერთ სახეს და ხან მეორეს, მაგრამ იარსებებს მუდამ, სანამ არ დასრულდება კავკასიის განთავისუფლებით. — ჩვენი თავისუფლებისათვის ჩვენ გვიბრძოლია არაბეთის, სპარსეთის, ოსმალეთის წინაალმდეგ, ჩვენი ნებისყოფა ვერ მოუტეხია თემურ-ლენგს, ჩინგის-ხანს, შაჰ-აბაზს და აღა-მაჰმად-ხანს. მაშასადამე, ჩვენ არ შევწყვეტთ ბრძოლას არც ახალი მებატონის — რუსეთის — წინაალმდეგ.

წარსულში ჩვენ არ შევდავებივართ რუსეთს არასფერს მისას და არ ვედავებით დღესაც. არა ჩვენა ვართ რუსეთის მტერი, არამედ რუსეთია ჩვენი მტერი. ჩვენ მხოლოდ ვიცავთ ჩვენს თავისუფლებას. ჩვენ შორის რუსეთი დამსხმელია და ჩვენ კიდევ დაზარალებული და დატყვევებული ვართ. ნუ თუ ამის შემდეგ ჩვენი ბრძოლა მის წინაამდეგ, თუ გინდ მისი მტრების დახმარებით, არის უკანონო საქმე?

ყველაფერი ეს სამწუხარო და ორივე მხარესათვის საზარალოა. ობიექტიური ანალიზი გვეუბნება, რომ კავკასიისა და რუსეთის ინტერესები არანაირად არ ეწინააღმდეგებიან ერთი მეორეს. კიდევ მეტი: ჩვენ ვფიქრობთ, რომ მათ შორის მეგობრული განწყობილება და მჭიდრო კავშირი სასურველი და ბუნებრივია. მაგრამ ამისათვის საჭიროა, რომ კავკასიის დამოუკიდებლობა იყოს აღიარებული და შენახული რუსეთის მიერ. განა ძალადობაზე დამყარებული ურთიერთობა შეიძლება იყოს მკვიდრი და კეთილნაყოფიერი?

განსაკუთრებული მწუხარებით უნდა აღვნიშნოთ საერთოდ რუსული ემიგრაციის და კერძოდ „პოსლედნია ნოვოსტის" პოზიცია. შესაძლო იყო გვეფიქრა, რომ 15 წლის განმავლობაში სხვის მიწა - წყალზე ემიგრანტებად ცხოვრების შემდეგ მაინც ჩვენი სულისკვეთება და ბრძოლა იქმნებოდა მათ მიერ გაგებული და კანონიერადაც აღიარებული. ემიგრაციაში მყოფი რუსეთი ხომ თვით იბრძვის თავის სამშობლოს მესამე ინტერნაციონალის ბატონობისაგან განთავისუფლებისათვის, ის ხომ თვით იტანს მრავალნაირ ტანჯვას იმისათვის, რომ სურს აღადგინოს რუსის ხალხის ეროვნული უფლებები და სახე. და თუ სამართლიანია მისი ბრძოლა, რად არის უსამართლო ჩვენი?... თუ სამართლის წინაშე ისინი კანონიერი შვილები არიან და ჩვენ კიდევ უკანონო შვილები ვართ?

## აჯანყება და „ეროვნული ფრონტის" პრესა

„ბრძოლის ხმამ" და „დამოუკიდებელმა საქართველომ" თავიანთი უკანასკნელი №-ბი მთლიანად აგვისტოს აჯანყებას დაუთმეს. „ბრძოლის ხმა" ამ შემთხვევაში მარტო სიუჟეტს არ დასჯერდა. რედაქციამ ეს ნომერი გარეგნულადაც კი განასხვავა ყველა იმ ნომერს, რომელიც აქ დღემდე გამოსულა: მთელი პირველი გვერდი ფრანგულ ტექსტს უჭირავს და შიგ რამოდენიმე სურათიც არის ჩართული. ცხადია, ამ ნომრის საგანგებო ელემენტები უცხო მკითხველისათვის არის დანიშნული. გარეგნულად ყველაფერი რიგზე მოსჩანს და გაზეთის ეს ეპიზოდიური რეფორმა სასიამოვნოდ გამოიყურება. მაგრამ როდესაც მის შინაარს გაეცნობით, ეს გარეგნული ილუზია ჰქრება და თქვენ მახინჯი სინამდვილის ამარა რჩებით. ირკვევა, რომ გაზეთის შემთხვევითი რეფორმაც და მისი „კლასიკური" ნაწილიც, ორივე საკუთარი კლანური ინტერესის ანგარიშზეა აგებული და ვაჭრულ მიზნებს ემსახურება! აქ ზოგი ვინ და ზოგი რამ უფრო დიდი და მნიშვნელოვანი — გადამალულია; ხოლო ანონიმური და უმნიშვნელო პირველ პლანზეა წამოყენებული!

აღმაშფოთებელია თავის თავად სისხლით დაწერილი სინამდვილის გაყალბება! ნამეტურ მაშინ, როდესაც ეს ხდება ამ სინამდვილის საგანგებო მოგონების წუთებში, სწორედ იმ დროს, როდესაც შენს თვალ - წინ ერთმანეთში ირევა შენივე ბრალით მომხდარი აჯანყების განადგურებული იმედები და მისი მრავალი ათასი სხვერპლი. ასეთ კრიმინალურ გემოვნებას არაფერი აქვს საერთო ნამდვილ ქართულ ზნესთან. და ამ გემოვნებას თქვენ ჰპოულობთ „ბრძოლის ხმის" რედაქციაში.

თქვენ აქ ამოიკითხავთ ათას წვრილმან ამბავს და სახელს. მაგრამ თქვენ ვერსად შეხვდებით იმას, ვინც საქართველოს აჯანყებათა **პიროვნებას** წარმოადგენს და ვისი სახელი წლების განმავლობაში ქართველი ერის გულში სასოებას აღვიძებდა; იმას, ვინც ქართულ ისტორიაში შესულია როგორც ამ ეპოქის გმირი! რად მოჰპარა „ბრძოლის ხმამ" აჯანყებას მეთაური და საქართველოს — თავისი საყვარელი გმირი? აჯანყების საყოველთაო და საგანგებო მოგონების დროს, რად გადამალა ჩოლოყაშვილი?..

განა რომ მისთვის უფრო უპრიანია ანონიმური აჯანყება. მითვისებითაც უფრო ადვილად მიითვისებს და თუ დასჭირდა, მას ბელადად თავის კაცსაც მისცემს! და მერე, — სად „დემოკრატიული" აჯანყება და სად თავადიშვილი, როგორც ბელადი, არა?

არსებითად, ქართველ მკითხველს „ბრძოლის ხმა" ახალს ვერაფერს ეუბნება აჯანყების ათი წლის თავზე, და არქივიდან ამოაქვს ბ-ნ ნ. ჟორდანიას მიმართვა ქართველი ერისადმი, რომელიც აჯანყების წლის ნოემბრით არის დათარიღებული და მენშევიკური პარტიის პროკლამაცია — „საქართველოს მშრომელ ხალხს" — იმავე წლის 15 ოკტომბრის თარიღით აღნიშნული.

ეს ორი დოკუმენტი ერთი მეორეს ავსებს. პირველში ბ-ნი ჟორდანია გამოდის, როგორც მთავრობის თავჯდომარე. აქ იგი იარაღად ხმარობს შეგნებულ გულუბრყვილობას, რომ ერთსა და იმავე დროს მძიმედ დაჭრილ საქართველოსაც გული მოუფონოს და საკუთარი დანაშაულიც დაჰფაროს. მეორე მისი ცდა იქითკენაა მიმართული, რომ აჯანყებას მარტო **ეროვნულის** კვალიფიკაცია არ შერჩეს და მას პირველ რიგში **დემოკრატიულად** ნათლავს!!

ამ დეტალშია გამოთქმული ბ-ნ ჟორდანიას მთელი დარდი იმ საშინელი ამბების დროს!

მაგრამ ამ მიმართვაში ურცხვობის ნამდვილ აპოთეოზს ის ადგილი წარმოადგენს, სადაც ბ-ნი ჟორდანია ქართველ ხალხს დაგვიანებულად აფრთხილებს — „აჩქარება არ გვმართებს"-ო!! ჟორდანიამ ყველაფერი ჰქმნა, რომ ქართველი ხალხი უიმედო აჯანყებაში გადაეჩეხა და როდესაც ეს ფაქტად იქცა და ქვეყანა სისხლში ამოახჩვეს, ხალხს მერმე აფრთხილებს — „აჩქარება არ გვმართებს"-ო!!..

მეორე დოკუმენტში ჟორდანია თავის პარტიასთან ერთად და როგორც მისი ბელადი თავს ანებებს **ერს** —ამ აბეზარ „ფიქციას" არა? — და მიმართავს **მუშას** და **გლეხს.** აქ ჟორდანია უფრო თამამია და თავისუფალი, უფრო ბუნებრივი და მართალი და ამხანაგებთან ერთად იგი ხმამაღლა გაიძახის... „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!"... „გაუმარჯოს სოციალიზმსო"!!, და ამას იმ დროს ამბობს, როდესაც მის წინაშე სძევს, სამშობლოს თავისუფლების მოპოებისათვის, იმავე სოციალიზმის სახელით და იმავე პროლეტარების ხელით ათასობით განგმირულ ქართველ მამულიშვილთა ჯერ კიდევ გაუცივებელი გვამები!!

რომელია უფრო მძიმე, — ბ-ნ ჟორდანიას ეს ცინიზმი, თუ ის დანაშაული, რომელიც მას მიუძღვის აჯანყების საქმეში?..

***

„ბრძოლის ხმას" კვალში მიჰყვა „დამოუკიდებელი საქართველო". მართალია, ეს გაზეთი მარტო ჟორდანიას ჯგუფის ორგანო არ არის, როგორც „ბრძოლის ხმა". მასში აგრეთვე წილი უდევს ფედერალისტებს, ესერებს და პარტიიდან გამდგარ ეროვნულ დემოკრატებს. იგია ორგანო იმ ე. წ. „ეროვნული ფრონტისა" თუ „ცენტრისა", რომელიც შესდგება ყოფილი მთავრობისა და დასახელებული ჯგუფებისაგან. მაგრამ ეს ჯგუფები, სამწუხაროდ, უბრალო დეკორაციის დანიშნულებას ასრულებენ, როგორც ამ „ეროვნულ ცენტრში", ისე „დამოუკიდებელ საქართველო"-შიაც.

მათ არავითარი გავლენა არ აქვთ არც ამ „ცენტრის" პოლიტიკაზე და არც „დამოუკიდებელ საქართველოს" იდეურ ცხოვრებაზე. პასიურად განიცდიან და ემორჩილებიან იმას, რასაც ჟორდანია და მისი სექტა მოითხოვს და აკეთებს. როგორცა ვსთქვით, „დამოუკიდებელ საქართველოში" დაცულია ის ხაზი, რომელიც „ბრძოლის ხმას" აქვს აღებული ქაქუცა ჩოლოყაშვილის მიმართ. მაგრამ, როგორც ეს მონათა ფსიქოლოგიას სჩვევია, „დამ. საქ"-ომ ამ მიმართულებით გადააჭარბა „ბრძოლის ხმის" ბატონურ და ამიტომ უფრო თავისუფალ ჟესტს. „დ. ს." რედაქციაში უბრალო დავიწყებას კი არა ჰქონდა ადგილი, არამედ ნამდვილ გალაშქრებას ჩოლოყაშვილის წინააღმდეგ, მის უპატივცემლო გასტუმრებას რედაქციის კარებიდან.

## კავკასიის კომპრომეტაციის პაქტი

ამ ნომერში იბეჭდება რამდენიმე ხნის წინად ემიგრანტულ პრესაში გამოქვეყნებული ე. წ. „კავკასიის კონფედერაციის პაქტი“. ხელისმომწერნი მხარენი გამოდიან თავ-თავიანთი ქვეყნის „ეროვნული ცენტრის“ სახელით. კავკასიის ოთხი მკვიდრი ეროვნული ერთეულიდან ამ პაქტს აცხადებს სამი: აზერბეიჯანი, ჩრდილო კავკასია და საქართველო. მეოთხე — სომხური ერთეული ამაში მონაწილეობას არ იღებს.

დღეს ჩვენ გვინდა მკითხველის ყურადღება ამ ახირებულ დოკუმენტზე შევაჩეროთ და მას გავუზიაროთ ჩვენი ფიქრები და მწუხარება, თუ რატომ უნდა მოვეპყრათ უნდობლად და უარყოფით ისეთ პოლიტიკურ აქტს, რომელიც სხვა პირობებში ჩვენი აღფრთოვანებული მიმხრობის საგანი უნდა ყოფილიყო.

დღეს რომ დღეა, კავკასიის დამოუკიდებლობა და მისი კონფედერალური მოწყობა კავკასიის ხალხთა სტიქიურ მოთხოვნილებად არის გადაქცეული. ხოლო მათ რეალიზაციაზე ზრუნვა პრაქტიკული მოღვაწეობის საგანია ამ ხალხთა პასუხისმგებელი პოლიტიკური წრეებისა. შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ამ იდეას ყველა იზიარებს და არავინ ებრძვის. რომ სიმართლეს უფრო მივუახლოვდეთ, უნდა დავუმატოთ, რომ ეს იდეა დღეს კავკასიის ეროვნული მასების ცხოვრებაში თამაშობს მისტიური ძალის დანიშნულებას და რომ მასზეა დამყარებული მათი მომავალი დამოუკიდებელი არსებობის მტკიცე იმედი. ეს არის სრულიად განსაკუთრებული ფსიქოლოგიური ვითარება. იგი სულს უდგამს მთელ კავკასიის განმათავისუფლებელ მოძრაობას და წარმოადგენს მისი გამარჯვების მორალურ საფუძველს. ეს გარემოება მოითხოვს იმას, რომ უაღრესი სიფრთხილე იყოს დაცული ყოველთვის, როდესაც საქმე შეეხება ამ სულიერი ვითარების პოლიტიკური გაობიექტივების ცდას. ყოველი კავკასიელი მოღვაწე ვალდებულია, ამ სინამდვილის წინაშე, განსაკუთრებული ყურადღებით უდარაჯოს იმას, რომ ეს იდეა კავკასიის დამოუკიდებლობისა და მისი კონფედერალური მოწყობისა არ გახდეს საგანი ვისიმე ამბიციის ანგარებიანი იერიშისა, რათა საბაბი არავის მიეცეს არც შინაურობაში და არც გარეშეთა შორის, რომ მას ეჭვის თვალით შეხედოს. ვინაიდან, აღნიშნული განსაკუთრებული ვითარების გამო, მისი ოდნავი კომპრომეტაცია ეს იქნებოდა დიდი ხნით კავკასიის ეროვნული მოძრაობის დაზიანება.

ხსენებული „პაქტი“ აქ ჩვენ გვაინტერესებს სწორედ ამ თვალსაზრისით და მას მხოლოდ ამ მხრივ შევეხებით, ვინაიდან თვით იმ პრინციპს, რომელზედაც იგი აგებული, ჩვენ არამც თუ ყოველგვარი დავის გარეშე ვაყენებთ, არამედ ვიბრძვით კიდევაც მისთვის, როგორც საქართველოს და კავკასიის პატრიოტი.

ვნახოთ ამ მხრივ, თუ რა დამოკიდებულებაშია ამ კავკასიის კონფედერაციის იდეის მიმართ ხსენებული „პაქტი“ და მისი ავტორები, თუ რამდენ ფრთხილად იცავენ ისინი ამ იდეის სახელსა და ინტერესს.

ჯერ თვით ეს „პაქტი“ -ს სახით გამოსვლის პრეტენზია! რატომ უფრო ეს ფორმა და არა უბრალო დეკლარაცია კონფედერაციის პრინციპისა, როგორც პოლიტიკური მრწამსის. თავის თავად ეს ხომ უფრო შეხამებული იქნებოდა ხელისმომწერთა აწინდელ მდგომარეობასთან, უფრო თავმდაბალი ვიდრე „პაქტი“, მაგრამ უფრო მართალი და ამიტომაც უფრო უვნებელი, როგორც ავტორთა ღირსებისათვის, ისე თვით საქმისათვისაც.

მაშ რად აირჩიეს უფრო პირველი და რად უარჰყვეს მეორე? მიზანი აშკარაა. „პაქტის“ ავტორები ამ სახით ალბად თავიანთ თავს სადღაც ასაღებენ საგანგებო უფლება-მოსილ პირებად, რომელთაც შეუძლიათ თავიანთი ქვეყნის სახელით შეთანხმებანიც მოახდინონ და ხელშეკრულებანიც დასდონ და ეს იმ დროს, როდესაც არც ერთი მათგანი დღეს ამგვარი უფლების მატარებელი არ არის! მაგალითად რომ ავიღოთ, რა უფლება აქვს დღეს ბატონ ჟორდანიას, რომ საქართველოს სახელით მხარედ გამოვიდეს, ვინმეს პაქტით შეეკრას და საქართველო ვისიმე წინაშე რამეში დაავალდებულოს?! რაც იყო, ის გათავდა და ამაში ბრალი უმთავრესად ჟორდანიას და მის პოლიტიკას მიუძღვის! მარტო ამ ფაქტის აღნიშვნა კმარა, რომ ამ დოკუმენტს პაქტის აზრი დაეკარგოს, ხოლო მის ხელისმომწერთ, პასუხისმგებელი მოღვაწის ღირსება.!

მეორეს მხრივ, ეს „პაქტი“, რომელშიაც სომხობა მონაწილეობას შეგნებულად არ ღებულობს, ფაქტიურად მარტო აზერბეიჯანს, ჩრდილო კავკასიას და საქართველოს ეხება და არა მთელ კავკასიას. ამ შემხვევაში მისი გამოტანა საზოგადოების წინაშე მთელი კავკასიის კონფედერაციის პაქტად — ალბად მეტი რეზონანსის გულისათვის, — ეს არის მეტი რომ არა ვსთქვათ, სინამდვილის აშკარა დამახინჯება. ირკვევა ისიც, როგორც ამას ამტკიცებს ჩრდილო კავკასიის დელეგაციის თავჯდომარის მოადგილის და ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის, ბ-ნი ბამატის განცხადება, რომელიც ამ ნომერშია დაბეჭდილი, რომ ერთი იმ „ეროვნულ ცენტროთაგანი“, რომელთა სახელით საჯაროდ გამოდიან „პაქტის“ ხელისმომწერნი, — სახელდობრ, ჩრდილო კავკასიის ეროვნული ცენტრი, სინამდვილეში სრულიად არ არსებულა და ყოფილა „გამოგონილი დაწესებულება“! — გარემოება, რომელიც შეუძლებელია რომ უცნობი ყოფილიყო ორი დანარჩენი ხელის-მომწერისათვის.

ამგვარად, ჩვენ ვდგევართ მთელი რიგი სიყალბის წინაშე „პაქტის“ ხელისმომწერთა მხრივ.

რად ჩაიდინეს მათ ეს მძიმე საქმე? რა იძულება იყო ისეთი, რომ „პაქტის“ ხელისმომწერლებმა არც თავიანთი თავი დაზოგეს და არც კავკასიის კონფედერაციის წმიდა იდეა? და ბოლოს, რაკი ეს უკვე მომხდარი ფაქტია, საკითხავია, თუ ვისთვის არის ჩადენილი ყოველივე ეს? აშკარაა, უცხო და საქმეში ჩაუხედველი საზოგადოებისათვის, ვინაიდან გაგებულ წრეებში, თავის-თავად ცხადია, ასეთი სიყალბე ვერავითარ მოსახვეჭელს ვერ მოიხვეჭდა!

მაგრამ ეს „პაქტი“ მარტო მის ავტორთა სიყალბის დემონსტრაცია კი არ არის, არამედ მათი დამალული უძლურების გამოაშკარავებაც.

„პაქტის“ სრულიად ზოგადი ხასიათი იმას მოწმობს, რომ ხელისმომწერმა მხარეებმა საერთო ენა ვერ გამოსძებნეს და შეთანხმებას ვერ მიაღწიეს თვით კონფედერაციის ცენტრალურ დაწესებულებათა ორგანიზაციის საკითხებში. და თუ ამასთან ერთად სახეში იმ გარემოებასაც მივიღებთ, რომ ეს „პაქტი“ ათი წლის მუშაობის შედეგია, მაშინ ჩვენ გვექნება სრული წარმოდგენა იმისა, თუ რა შემოქმედებითი პოტენცია იმალება ამ პაქტის უკან!.

საერთოდ, როგორც ისტორია წარმოშობისა, ისე ანემიკური სახე ამ პაქტისა გვიმოწმებენ, რომ იგი მობერებულ ორგანიზმთა უძალო და უსისხლხორცო ნაყოფია. მისგან უფრო სიკვდილის ცივი სიო მოდის, ვიდრე სიცოცხლის ქარიშხალი.

ჩვენ არც მეტის მოლოდინი გვქონდა და არც უფლება, რომ ამაზე მეტი მოგვეთხოვა იმათგან, ვინც სასიკვდილო უძლურების ჟამს, ბუნების წინაალმდეგ, ახალი სიცოცხლის დაგზნების ჟინს შეუპყრია.

ჩვენ უფრო გვიკვირს ამ ხალხის ყინულივით ცივი და ანგარიშიანი ეგოიზმი, რომ ასეთი დამშვიდებულის ტემპერამენტით ექსპლოატაციას უწევენ და სახელს უტეხენ კავკასიის კონფედერაციის ცოცხალ იდეას და ამის წინაალმდეგ ჩვენ ვაცხადებთ ჩვენს უკიდურეს გულისწყრომას.

**სპ. კედია**

## მესამე ინტერნაციონალის დამხმარე ორგანიზაციები

ჩვენ სიამოვნებით ვბეჭდავთ ამ წერილს, რომელიც ეკუთვნის საერთაშორისო ანტიკომუნისტური ინტერნაციონალის თავჯდომარეს ბ-ნ პ. დებუაჟოსლენს.

**რედ**

რომ უფრო ადვილად შეჭრილიყვნენ იმ ზოგიერთ წრეებში, სადაც სხვანაირად კარები დახშული დახვდებოდათ, საბჭოებმა დააარსეს სხვა და სხვა დამხმარე ორგანიზაცია, რომელთაც განაგებენ მოსკოვის „კაცები“. ამ დაწესებულებათა შორის პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ „წითელი პროფესიონალური ინტერნაციონალი“, ან „პროფინტერნი“, რომელიც დაარსებულია კომინტერნის მიერ 1920 წ. და რომელსაც სათავეში უდგას ბოლშევიკი სოზოვსკი. პროფინტერნს თავის სექციები აქვს ყველა ქვეყანაში. მისი ფრანგული სექციაა „გაერთიანებული შრომის საზოგადო კონფედერაცია“, რომელსაც ჰყავს 525 ათასი წევრი. ბელგიის სექციას წარმოადგენენ „შრომის რაინდები“, სადაც ითვლება 8 ათასი წევრი. ჩეხოსლოვაკიაში პროფინტერნის სექციას (ს. კ. ტ.) ჰყავს 196 ათასი წევრი. ჩილის სექციას სახელად ეწოდება „შრომის ფედერაცია“ და ჰყავს 50 ათასი წევრი. საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირში მას სახელად ჰქვია „პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალური საბჭო“, რომელსაც ჰყავს ათი მილიონი 248 ათასი წევრი და სხ. პროფინტერნის წევრთა საერთო რიცხვი აღწევს 16 მილიონს.

ამის შემდეგ მოდის „კრესტინტერნი“, „გლეხა წითელი ინტერნაციონალი“, რომელიც გლეხთა შორის მუშაობს ისევე, როგორც „პროფინტერნი“ მუშათა მასსებში. ეს დაჯგუფება მოსკოვში დაარსდა 1923 წ. ოკტომბერში. თუმცა ეს ორგანიზაცია უფრო ნაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე „წითელი პროფესიონალური ინტერნაციონალი“, მაგრამ მის უკანასკნელ კონგრესს მაინც დაესწრენ ორმოცი ერის წარმომადგენელნი. მის ხელქვეით მუშაობს ე. წ. „კოოპერატიული სექცია“. ამის შემდეგ მე დავასახელებ ერთ დაჯგუფებას, რომელიც თავის ორჭოფობით თითქმის უფრო სახიფათოა, ვიდრე ყველა წინანდელი. ეს არის ვ. ო. კ. ს. „საზოგადოება კულტურული ურთიერთობის დასაჭერად უცხოეთთან“. მას ამ უკანასკნელ დრომდე ხელმძღვანელობდა რეპტილი ლუნაჩარსკი, რომელმაც, საბედნიეროდ თავისი სული უკვე ჩააბარა ეშმაკს; მისი ასისტენტი იყო ქ-ბ-ნი კოლონტაი, განთქმული ჯაშუში, რომელიც შემდეგში საბჭოების ელჩი გახდა, და ოლღა კამენევი. ამ დაწესებულებას მიზნად აქვს თვალყური ადევნოს რუსის მეცნიერებს, მწერლებს და არტისტებს მათ საერთაშორისო დამოკიდებულებაში. მისი მიზანია აგრეთვე გააბოლშევიკოს უცხოეთის ინტელექტუალური ელემენტები (სამწუხაროა ფრიად, რომ საფრანგეთში ამ დაწესებულებამ თავის მიზანს სავსებით მიაღწია!).

1927 წლის ოკტომბრის აქეთ საფრანგეთში არსებობს ვ. ო. კ. ს.-ს ფილიალი, რომელსაც ეწოდება „საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირის მეგობართა საერთაშორისო საზოგადოება“. ამ დაჯგუფების ფრანგული სექციის თავჯდომარეა მწერალი ბარბიუსი. უნდა ითქვას, რომ ეს სექცია დღეს ძალიან ძლიერია. არის კიდევ ერთი ორგანიზაცია „სპორტინტერნი“, ანუ „წითელი სპორტიული ინტერნაციონალი“. მისი ფრანგული სექცია ატარებს „შრომის სპორტიული ფედერაციის“ სახელს — ფ. ს. ტ. მის სათავეში დგას ვინმე დელომი, წევრი კომუნისტური ახალგაზრდობისა.

დავასახელებ კიდევ ერთ ორგანიზაციას, რომელიც საკმაოდ ძლიერია — ეს არის „ყოფილ მეომართა რესპუბლიკანური (სიკ!) ასოციაცია, ა. რ. ასი., რომელსაც მეთაურობს გი ჟერამი, წევრი კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. რომ მდგომარეობა უფრო სანდო და საიმედო ყოფილიყო მას გვერდით მოუსვეს ჟან დიუკლო, ღვიძლი ძმა კომუნისტი დეპუტატისა. მზგავსი ორგანიზაციები, რომელნიც შედიან წითელი ინტერნაციონალის ფრონტში, სხვა ქვეყნებშიაც არსებობენ, მაგ. გერმანიაში (როტე ფრონტ, კემპფერ ბუნდ, იუნგფრონტ), არგენტინაში (სოციეტა რედუკ, პროლეტარი დიგნერა) და სხვა....

აი კიდევ „ქალთა წითელი ინტერნაციონალი“-ს დაჯგუფება, რომელმაც თავის კონგრესზე 1924 წ. პარიზში ასე განმარტა ქალის როლი ბოლშევიკურ მოძრაობაში: „რომ რევოლუციამ გაიმარჯვოს, ჩვენ გვესაჭიროება ქალი... რომ ქალი მოვიმხროთ, იგი უნდა მის კერას მოვსწყვიტოთ. მასში უნდა ჩავკლათ ეგოისტური გრძნობა დედის სიყვარულისა... ქალი ძუ ძაღლია, ანუ დედალი, როცა მას უყვარს თავისი შვილები“!...

მას აქეთ დაარსდა „ქალთა წითელი ინტერნაციონალის“ დამხმარე ორგანიზაცია, რომელსაც ეწოდება „ქალთა ლიგა მშვიდობიანობისა და თავისუფლებისა“!!

მეორე უფრო ცნობილი დაწესებულებაა „ანტიკოლონიალური ლიგა“, რომელიც დაარსებულია ბრიუსელში 1927 წ. მის პირველ კონგრესს დაესწრო 148 დელეგაცია! (უნდა აღვნიშნოთ, რომ პირველ რიგში იდგა საფრანგეთი თავის 25 დელეგატით.

არ უნდა დავივიწყოთ „სწავლის მუშაკთა ინტერნაციონალი“-ც, რომელიც შეიცავს შემდეგ სექციებს: ფრანგულს რუსულს, გერმანულს, ჰოლენდურს, ბელგიურს, ლუქსემბურგულს, ინგლისურს, იტალიურს, ისპანურს და პორტუგალურს. მასში შედის **საფრანგეთის მასწავლებელთა მთელი მერვედი!**.

მესამე მუხლის ძალით, „სწავლის მუშაკთა ინტერნაციონალის“ მიზანია, რომ კლასთა ბრძოლის ნიადაგზე დააჯგუფოს სწავლის მუშაკთა ეროვნული ორგანიზაციები“. ფრანგულ სექციას მეთაურობს ვინმე ვერმოშე. კიდევ ერთი დაჯგუფება, რომელიც ძალიან სახიფათოა მისი სიფლიდით: „საფრანგეთის და კოლონიების მდგმურთა ფედერაცია“, რომელიც ვითომ და ნეიტრალურია, მაგრამ ნამდვილად კი მას მეთაურობს კომუნისტი დიელი.

მოვიგონოთ აგრეთვე მრავალი „ანტიფაშისტური კომიტეტი“, „ძმობა მეზღვაურთა“, „თავისუფალი პროლეტარული მოაზროვნენი“. ეს ორგანიზაცია მიკერებულია „უღმერთოთა ინტერნაციონალზე“, „კომიტეტი თეთრი ტერორის წინაალმდეგ ბალკანეთში“, მასსონთა ზოგიერთი ლოჟები, როგორც მაგ. „ახალი ფრანგულ რუსული მეგობრობანი“, „კუთხური ასოციაცია მუშათა კოოპერატივებისა“, მწუხარ მოგონების „მუშურ-გლეხური ბანკი“, „ტეხნიკოსთა გილდია“, და სხვა და სხ.

**ყველა ხედავს, რომ ჩვენ არ ვაჭარბებთ, როდესაც ვლაპარაკობთ წითელ საფრთხეზე!**

ქართველებო, თქვენ, რომელნიც საბჭოთა რეპრესიების მიერ ყველაზე უფრო ხართ დასჯილი, ხელი შეგვიწყვეთ ჩვენ ამ მუშაობაში, ჩვენ, რომელთაც გვსურს საბჭოების გასრესა!

**პ. დებუაჟოსლენ.**

თავჯდომარე ანტიკომუნისტური ინტერნაციონალური ლიგისა.

---

თუ ჩვენი ცნობა სწორია, „დამ. საქ.“-ოს მოსვლია საგანგებო მასალა ქ. ჩოლოყაშვილის ცხოვრების ეპიზოდიდან, მაგრამ საერთო მოთათბირების შემდეგ რედაქციას უარი უთქვამს მის დაბეჭდვაზე!

ჟორდანიას სექტამ რაც „ბრძოლის ხმას“ გააკეთებია, ის დაადასტურებია „ეროვნული ცენტრის“ ორგანოს „ავტორიტეტს“. ჟორდანია ემსახურება საკუთარი კლანის მიზანს, მაგრამ ვის ემსახურებიან ის პატრიოტები, რომლებიც ამ „ეროვნული ცენტრის“ ორგანოში სხედან?

---

### ბატონო რედაქტორო,

გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთში ქართველთა ასოციაციის მიერ 30/IV-33 წ. არჩეული კომისიის ამ განცხადებას ადგილი დაუთმოთ:

„ბრძოლის ხმის“ მე-44-ე ნომერში მოთავსებულია სოც.-დემ. პარ. პარიზის ორგანიზაციის რეზოლუცია სათაურით: „ჩვენი პასუხი“. ამ პასუხში ჭეშმარიტების მრავალი დამახინჯებაა და ამიტომ კომისიას საჭიროდ მიაჩნია ზოგი მათგანი მაინც აღნიშნოს: —

1. არ არის მართალი, ვითომ კომისიის ათი წევრიდან მხოლოდ ხუთი-ღა დარჩენილიყოს.

კომისიის ათი წევრიდან მხოლოდ ბატონი ცინცაძე გადადგა და ისიც მარტო სიტყვიერი განცხადებით, რომლითაც აღგვითქვა წერილობით დაესაბუთებია თავისი გადაწყვეტილება, ხოლო კომისიას ეს ქაღალდი დღემდე არ მიუღია. ამ რიგად, იმ დროს, როდესაც კომისიამ მოხსენების საბოლოო ტექსტი მიიღო, იგი შესდგებოდა ყოველ შემთხვევაში ცხრა წევრიდან. ამ სხდომას დაესწრო შვიდი წევრი; ბატონი ჟურული და ბატონი ავალიშვილი, მათგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო, ვერ გამოცხადდენ. სხდომამ მოხსენება ერთხმად მიიღო, ხოლო მისი დასკვნები კი ხუთი ხმით ორის წინაალმდეგ.

2. წინაალმდეგ „ჩვენი პასუხის“ ავტორთა მტკიცებისა ასოციაციამ კომისიის წევრნი აირჩია არა პარტიათა წარმომადგენლობისაგან, არამედ პიროვნული შერჩევის პრინციპის მიხედვით.

3. კომისიამ მოხსენების ტექსტი პოლიტიკურ ჯგუფებს დაუგზავნა მხოლოდ და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამ ჯგუფთა წარმომადგენლებმა ამისი სურვილი მტკიცედ გამოსთქვეს.

კომისიის თავჯდომარის ამხანაგი

**შ. აბდუშელი**

კომისიის მდივანი — **ვ. ნოზაძე**

პარიზი, 5/X-34 წ.

---

### „ჩვენი პასუხის“ გამო

„ბრძოლის ხმის“ 44 ნომერში „ჩვენი პასუხის“ სათაურით მოთავსებულია საქ. სოც. დემ. პარტიის პარიზის ორგანიზაციის ვრცელი მოხსენება, რომელიც მიმართულია კოლონიის მიერ ე. წ. „გამყრელიძის წერილის“ გამო დაარსებული საგამომძიებლო კომისიის მოხსენების წინაალმდეგ.

როგორც ვიცით, საგამომძიებლო კომისიის მოხსენება ჯერ-ჯერობით გამოქვეყნებული არ არის, მხოლოდ პარტიათა წარმომადგენლების დაჟინებითი თხოვნის გამო ის დაეგზავნა, წინასწარ შეყენებული სიის მიხედვით, ემიგრაციის ორგანიზაციათა ოციოდე წარმომადგენელს. მოხდა ასე იმიტომ, რომ საგამომძიებლო კომისიამ დააკმაყოფილა სურვილი თავისი შემადგენლობის ზოგიერთ წევრთა, რომლებიც ძალიან მჭიდროდ არიან დაკავშირებული ე. წ. „პოლიტიკური ცენტრის“ საშუალებით საქ. სოც. დემ. პარტიის პარიზის ორგანიზაციასთან, ან - და, უკეთ რომ ვსთქვათ, ჟორდანიას ჯგუფთან.

ამნაირად შექმნილია პირდაპირ საოცარი მდგომარეობა: გამოქვეყნებულია ჟორდანიას ჯგუფის „ჩვენი პასუხი“ და ამავე ჯგუფთან დაკავშირებულ პირთა მოთხოვნის გამო არ არის გამოქვეყნებული საგამომძიებლო კომისიის მოხსენება, რომლის წინაალმდეგ მიმართულია ეს „პასუხი“. ჩვენ გვეძნელება ასეთი მოქმედებისათვის ღირსეული სახელის მოძებნა. ჭეშმარიტად, მხოლოდ ჩვენ დაცემულ სინამდვილეში შეიძლება ასეთი რამ მოხდეს.

არსებითად „ჩვენი პასუხი“ ძალიან წააგავს „გამყრელიძის წერილს“. ისეთივე სისტემა და იგივე მასალა, — მოგონილი ფაქტები, სინამდვილის დამახინჯება, მდგომარეობის ტენდენციური გაშუქება და სიტყვის ბანზე აგდება. მძიმეა ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ნაწარმოების“ გარჩევა და ზიზღის მომგვრელი. თანაც, აბა, რა აზრი აქვს მგლებისათვის სახარების ახსნას? მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ მოვუსპოთ საშუალება თვალთა განზრახ დაბრმავებისა მათ, ვისთვისაც ეს საჭირო არის, კიდევ ერთხელ აღვადგენთ სიმართლეს.

ასოციაციის მიერ 1933 წელს აპრილის 30-ს არჩეული საგამომძიებლო კომისია შესდგებოდა 10 წევრისაგან.

დაახლოვებით ივნისში კომისიის ერთმა წევრმა, ბ-ნმა ნ. ცინცაძემ, განაცხადა, რომ სხვა და სხვა მოსაზრებების გამო, რომლებიც მან კომისიას მოახსენა და რომლებიც კომისიამ არ გაიზიარა, ის წინააღმდეგია, რომ კომისიამ გამოძიება აწარმოოს, ე. ი. მოიქცეს თანახმად თავისი პირდაპირი დანიშნულებისა, და შესწყვიტა კიდეც სხდომებზე დასწრება. ხოლო **დაპირებული წერილობითი განცხადება კომისიის შემადგენლობიდან გასვლის შესახებ დღემდის არ შემოუტანია.** რადგანაც ფორმალური მხარის შესრულებას თუ არ შესრულებას თავისი ლოღიკა აქვს, კომისია მას ყოველთვის უგზავნიდა სხდომებზე მიწვევის ბარათს.

მარიამობის თვეში, ე. ი. მაშინ, როდესაც მუშაობის მთავარი ნაწილი მოთავებული იყო, კომისიის წევრი ბ-ნი ზ. ავალიშვილი თავისი პირადი საქმეების გამო ამერიკაში წავიდა მოკლე ხნით, როგორც ეს მას ეგონა. მისი ანგარიშით უნდა დაბრუნებულიყო პარიზში ენკენისთვეში. **კომისიის შემადგენლობიდან ის არ გასულა,** ამისათვის საჭირო განცხადება არ გაუკეთებია. პირიქით, კომისიის მუშაობაში უახლოეს მონაწილეობას იღებდა, რასაკვირველია, გამგზავრებამდე. და სხვათა შორის, წევრი იყო იმ მცირე კომისიისა, რომელმაც პირველად დაჰკითხა „პოსლედნია ნოვოსტი“-ს თანამშრომელ ბ-ნ ვაკარს.

ოკტომბერში, — სამწუხაროდ საქმის წარმოებიდან არა სჩანს, თუ რომელ რიცხვში, კომისიის თავჯდომარემ ბ-ნმა გ. ჟურულმა განუცხადა კოლონიის გამგეობის წევრებს, რომლებიც ამავე დროს საგამომძიებლო კომისიის წევრებიც იყვნენ, რომ ის, ავადმყოფობის გამო, იძულებული იყო თავის თანამდებობისათვის თავი დაენებებია. მაგრამ დაახლოვებით 10-15 დღის შემდეგ, სახელდობრ, **2 ნოემბერს, ის კვლავ დაუბრუნდა თავის მოვალეობათა ასრულებას და 14 ნოემბრის კოლონიის კრებაზე თავჯდომარეობაც კი გასწია.**

საჭიროა გადაჭრით აღვნიშნოთ, რომ საქმის წარმოების არც ერთ წუთში ბ-ნი ჟურული არ დაშორებია კომისიის შემადგენლობას არც ამა თუ იმ ნაბიჯის გადადგმაში და არც რომელიმე მოვლენის დაფასებაში. კერძოდ, მან მიიღო უახლოესი მონაწილეობა იმ წერილების შედგენაში, და მოაწერა კიდეც მათ ხელი, რომლებიც კომისიამ ბ-ნ ჟორდანიას გაუგზავნა. მანვე აწარმოვა კომისიის სახელით პირადი მოლაპარაკება იმავე ბ-ნ ჟორდანიასთან.

მიუხედავად ამისა, საგამომძიებლო კომისიის მოხსენებაზე მას ხელი არ უწერია. რა არის ბ-ნ ჟურულის ასეთი მოქმედების მიზეზი? ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს მიზეზი ჩვენზე უკეთ ჟორდანიას ჯგუფმა იცის. ამ მოკლე განცხადებით მოვჭრით ჩვენ კამათს ამ საკითხის შესახებ და დავუბრუნდებით მას იმ შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვს ემიგრაციის საქმეთა მსვლელობა.

**კომისიის ის სხდომა, რომელზედაც მოხსენება უკანასკნელად იქმნა წაკითხული, მოხდა 9 ნოემბერს და მას შვიდი წევრი დაესწრო. შვიდივემ ეს მოხსენება დაამტკიცა და მოაწერა მას ხელი.** მხოლოდ ბ-ნმა ვაჩნაძემ, რომელიც თვით იღებდა მონაწილეობას ტექსტის დამუშავებაში, გაუკეთა მას თავისი შენიშვნა. ეს შენიშვნა ეხება მოხსენების გამოქვეყნების საკითხს და, რასაკვირველია, მის შინაარს არანაირად არ ეწინააღმდეგება.

ამავე სხდომამ განიხილა მოხსენებასთან თანდართული დასკვნები. **ეს დასკვნები კომისიამ მიიღო და დაამტკიცა ხუთი ხმით ორის წინააღმდეგ.** ამ ორ წევრში ერთი ბ-ნი ვაჩნაძე იყო, რომელმაც თავისი მოქმედება დაასაბუთა ორი მთავარი მოსაზრებით. პირველი გახლდათ: — დასკვნებში თქვენ, ე. ი. კომისიის უმრავლესობა, ეხებით წვრილ ხალხს, მისი გამოთქმით, „სტრელოჩნიკებს“, მაშინ როდესაც საქმის მომწყობი ბ-ნი ჟორდანია არისო. აი მიიღეთ ჩემი წინადადება: მოხსენება გავაცნოთ არა კოლონიის კრებას, არამედ პარტიათა წარმომადგენლებს და მე გაჩვენებთ, თუ როგორ დასკვნებს გავაკეთებო. მეორე მოსაზრება იყო: „პოსლედნია ნოვოსტ“-ში დემანტს ნუ გაგზავნით, „ქართულ თავებს რუსულ გაზეთში ნუ შეაგორებთ“, „ნუ ჩაუგდებთ ხელში რუსებს საქართველოს მთავრობის თავჯდომარეს“-ო. ერთი სიტყვით, მას არ მოსწონდა ეს დასკვნები იმიტომ, რომ იქ არ იყო დასახელებული მთავარი ბრალდებულის როლში ბ-ნი ჟორდანია, და კიდევ იმიტომ, რომ სურდა ე. წ. „გამყრელიძის წერილი“ უდემანტოდ დაეტოვებია. ვიმეორებთ: — სხდომაზე მონაწილეობას იღებდა შვიდი წევრი, რომელთაგან ბ-ნ ვაჩნაძეს დაუჯერა ერთმა და არ დაუჯერა ხუთმა. ეს ერთიც მისი ჯგუფის წევრი გახლდათ.

მოყვანილი ცნობებიდან ურყეველად გამომდინარეობს, რომ ჟორდანიას ჯგუფის მუსაიფი, თითქოს კომისია დარღვეულიყოს, მოკლებულია სიმართლის ნატამალსაც კი, და რომ ფრაზა: „დარჩენილმა ხუთმა წევრმა გამოიტანა დასკვნები კომისიის სახელით“ წარმოადგენს განსაკუთრებული მიზნით შეთხზულ ამბავს. როგორც მკითხველმა ზემოდ დაინახა, **არამც თუ კომისია არ დარღვეულა და მისი შემადგენლობა ხუთ წევრამდე არ დასულა, არამედ არც ერთჯერ მას არ ჰქონია არც ერთი სხდომა, რომელსაც დასწრებოდა შვიდზე ნაკლები წევრი.**

თავის „პასუხში“ ჟორდანიას ჯგუფი ამტკიცებს, რომ თითქოს კოლონიას საგამომძიებლო კომისია პარტიათა წარმომადგენლებისაგან აერჩიოს. ესეც, რასაკვირველია, არ არის მართალი. პოლიტიკურ დაჯგუფებათათვის არავის არ მიუცია წინადადება დაესახელებიათ კომისიაში შესაყვანად თავიანთი წარმომადგენლები და მათ ასეთები არც დაუსახელებიათ. **კრებამ თვით დაასახელა და აირჩია კომისიის შემადგენლობა პირადი პრინციპის მიხედვით და იმ პირთაგან, ვისაც ენდობოდა და ვისი არჩევაც საჭიროდ დაინახა.** რასაკვირველია. ეს პირები ეკუთვნოდენ სხვა და სხვა დაჯგუფებებს, მაგრამ არც ერთი მათგანი არ ყოფილა არჩეული, როგორც ამა თუ იმ დაჯგუფების კანდიდატი. კიდევ მეტი: არჩეულ პირთა უმეტესი ნაწილი დაასახელა მათ ჯგუფთა გარეშე მდგომმა პირებმა. მაგალითად, სოც. დემ. ბ-ნი რ. არსენიძე და უპარტიო ბ-ნი ზ. ავალიშვილი დაასახელეს და დაითანხმეს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრებმა.

„ჩვენი პასუხის“ არსებითი ნაწილი აშენებულია ჯაშუშ გამყრელიძის „წერილზე“ და ბ-ნ ელიავას ჩვენებაზე.

ჯაშუშ გამყრელიძის „წერილი“ ჩვენ გავარჩიეთ თავის დროზე, 1933 წლის გაზაფხულში, მაგრამ მატერიალური მიზეზების გამო, დავბეჭდეთ დაგვიანებით, „საქართველოს გუშაგის“ მიმდინარე წლის აპრილის №-ში. ამის შემდეგ გაიარა საკმარისმა ხანმა და ჩვენ პასუხი არსად გვიხილავს და არავისაგან მოგვისმენია. რაც შეეხება საგამომძიებლო კომისიას, მან ეს „გამყრელიძის წერილი“ ჯეროვანად დააფასა. სწორედ მის შესახებ არის მოხსენების მეთერთმეტე გვერდზე მოთავსებული სიტყვები: — **„თვით წერილი არსებითად აგებულია მრავალ ყალბ და არასწორ ცნობებზე; ამასთანავე ის იძლევა ქართულ პოლიტიკურ დაჯგუფებათა უმართლო და ტენდეციურ დახასიათებასა და შეფასებას“.** მაშ რაღაზეა დამყარებული ჟორდანიას ჯგუფის მტკიცება, თითქოს საგამომძიებლო კომისიას არ გამოერკვიოს „გამყრელიძის წერილის“ შინაარსის სისწორე“? ალბად თავისუფალ იმპროვიზაციაზე და კიდევ იმ პატარა გარემოებაზე, რომ კალამსა და ქაღალდს ყვირილი არ შეუძლიათ.

დღეს გამყრელიძე საგამომძიებლო კომისიის მიერ დახასიათებულია როგორც პროვოკატორი. ამიტომ კამათის გაგრძელება მის ან მისი ნაწარმოების შესახებ ზედმეტად მიგვაჩნია. ხოლო ის გარემოება, რომ ასეთი ადამიანის მიერ ხელმოწერილ „წერილს“ ემყარება თავის საზოგადოებრივი ხასიათის გამოსვლაში პოლიტიკური დაჯგუფება, ჩვენ მიგვაჩნია უტყუარ საბუთად იმისა, რომ ამ დაჯგუფებას დაუკარგავს პოლიტიკური ალღო და საზოგადოებრივ მორალზე ხელი აუღია.

გადავიდეთ ეხლა ბ-ნ ელიავას ჩვენებებზე.

ბ-ნი ელიავა ის პირი არის, რომელსაც გემყრელიძე ასახელებდა გეგელიასთან ერთად ბოლშევიკების აგენტად. შემდეგ ამისა, სულ რამოდენიმე დღის განმავლობაში, საქმე სხვანაირად შეტრიალდა: ბ-ნმა ელიავამ მიიღო გამყრელიძისაგან პატიოსნების და ალალმართლობის ფირმანი და დაკმაყოფილდა ამით. გავიდა კიდევ ცოტა ხანი და მან გაუმართა გეგელიას ჩხუბი, აი ის ჩხუბი, რომელიც ნახსენებია „გამყრელიძის წერილის“ წინასიტყვაობაში; ხოლო, როდესაც გამოძიება გაიხსნა, გამოვიდა მოწმედ მის წინააღმდეგ. ბ-ნი ელიავა ამტკიცებდა, რომ ბ-ნი გეგელია ბოლშევიკების აგენტია, რომ მან მიიღო მონაწილეობა რამიშვილის მოკვლის მოწყობაში და სხვა. ყოველივე ეს დაწვრილებით მოისმინა განსაკუთრებულმა კომისიამ, რომელიც საგამომძიებლო კომისიამ გამოჰყო ბ-ნ გეგელიას გასასამართლებლად თავის შემადგენლობიდან. მან მოისმინა აგრეთვე სხვა მოწმეებიც, გაარჩია და დააფასა ყოველივე, რაც მის თვალთა და ყურთა წინაშე დატრიალდა, და **ერთხმად გამოიტანა თავისი განაჩენი, რომლითაც უკუაგდო ბ-ნ ელიავას ბრალდებები და სავსებით გაამართლა ბ-ნი გეგელია.**

რად მოიქცა ასე კომისია? იმიტომ, რომ ასეთი იყო მისი სინიდისის ხმა. ეს ჩვენთვის ცხადია და საკმარისი. ხოლო საზოგადოების მიერ არჩეულ მოსამართლეთა სულში ჭუჭყიანი ხელებით ფოთიალი და მდაბალი მოტივების ძებნა გადაგვილოცია ჟორდანიას ჯგუფისათვის, მათთვის ეს ჩვეული და სასიამოვნო საქმეა.

ამით გავათავებდით ჩვენ პასუხს ჟორდანიას ჯგუფის ხსენებულ ნაწარმოებზე, რომ არა ერთი იქ მოთავსებული ფრაზა, რომლის უპასუხოდ დატოვება ჩვენ არ გვინდა ზოგიერთი მოსაზრების გამო. ეს ფრაზა გახლავთ: — „ეს პირველათ არ არის, რომ სპ. კედიას ბრალდებას უყენებენ და ის პასუხსაც არ იძლევა“.

ვინ და როდის წამოუყენა ბ-ნ კედიას რაიმე ბრალდება? ჩვენ ასეთი შემთხვევა არ ვიცით. რაც შეეხება **უსახელო ხმებს** და ჯამბაზურად დალაგებულ ცნობებს, რომლებსაც ფარულად ავრცელებდა არა მარტო ბ-ნ კედიას წინააღმდეგ ჯერ ბ-ნი რამიშვილი, რისთვისაც იგი ორჯერ იქმნა მოქმედებით შეურაცყოფილი ჟორდანიას ჯგუფისა და ჩვენი საერთო ნაცნობების მიერ, — და ეხლა კი ავრცელებენ მისი მემკვიდრეები. ორივე შემთხვევაში ბ-ნ ჟორდანიას ცნობით და ალბად მისი კარნახითაც. აბა რა უნდა ვსთქვათ მათ შესახებ? მოკლედ მოვჭრით სიტყვას: — დაე ბ-ნმა ჟორდანიამ წამოაყენოს ბ-ნ კედიას წინააღმდეგ წესიერად ჩამოყალიბებული თუ გინდ ერთი იმ მრავალ ბრალდებათაგანი, რომლებიც **ხმების** სახით მოთავსებულია ხოლმე „ბრძოლის ხმაში“ და ვნახოთ, როგორი იქნება შედეგი.

ასეთი წინადადება უკვე წელიწადია, რაც თავის ამხანაგებისათვის გადასაცემად ფორმალურად მიეცა ბ-ნ ვას. წულაძეს, რომელსაც ჟორდანიას ჯგუფის ორგანიზაციაში უკავია საპასუხისმგებლო მდგომარეობა, მაგრამ შედეგი ვერ ვიხილეთ, და ვერც ვიხილავთ, რადგანაც ბ-ნ ჟორდანიას არ ეხერხება ახდილი პირისახით მოქმედება.

ეხლა ჩვენი რიგია და უნდა აღვნიშნოთ ორი შემდეგი ამბავი.

კვლევა - ძიებამ მალე მიიყვანა საგამომძიებლო კომისია ბატონ ჟორდანიასთან. ამის პირდაპირი მიზეზი გახლდათ „პოსლედნია ნოვოსტის“ თანამშრომელი ბ-ნი ვაკარი, რომელმაც განაცხადა: ჩემი ინფორმატორები „პოლიტიკური ცენტრის“ ხელმძღვანელები არიანო. როგორც ყველამ ვიცით, „პოლიტიკური ცენტრის“ ხელმძღვანელი ბ-ნი ჟორდანია არის. ამიტომ კომისიამ შეატყობინა მას ეს ამბავი, გაუგზავნა ბ-ნი ვაკარის ჩვენებათა ასლი და ორჯერ მოსთხოვა გარკვეული პასუხი, რომელსაც ბ-ნი ჟორდანია ორივეჯერ გაექცა. ამნაირად ბ-ნი ვაკარის ბრალდება დღესაც ჰკიდია მას კისერზე, ვით წისქვილის ქვა.

მეორე ამბავი.

შარშან, 18 დეკემბერს, ქალ. პარიზში, ედგარ კინეს ბულვარზე № 1, მოხდა ქართულ პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლების კრება, რომელზეც ბ-ნმა დავით ვაჩნაძემ საჯაროდ განაცხადა, რომ ე. წ. „გამყრელიძის წერილის“ საქმე მოაწყო ბ-ნმა ჟორდანიამ და მე ამას ვამტკიცებო. ამასთანავე მან ხაზი გაუსვა, რომ ასეთ განცხადებას აკეთებს არა პირველად და სთხოვა საგამომძიებლო კომისიის წევრებს ეს გარემოება დაედასტურებიათ. მისი თხოვნა შესრულებულ იქმნა.

ამის შემდეგ ჩვენ, და ცხადია, არა მარტო ჩვენ, ველოდით, რომ ბ-ნი ჟორდანია მოსთხოვდა პასუხს ბ-ნ ვაჩნაძეს და ეხლა მაინც გაინთავისუფლებდა თავს ამ მძიმე ბრალდებისაგან. მაგრამ იმედები გაგვიცრუვდა, — ბ-ნმა ჟორდანიამ აქაც გაჩუმება არჩია. და სწორედ იმისათვის, რომ ეს სიჩუმე მისი დაგვერღვია, ჩვენ ორჯერ მივმართეთ მას „საქართველოს გუშაგი“-ს ფურცლებზე მოთავსებული წერილით და მოვსთხოვეთ პასუხი. ამაოდ, ბ-ნი ჟორდანია განაგრძობს დუმილს, ვით დაფიცებული იოგი.

რატომ?

ალბად იმიტომ, რომ ის მართლა არის „გამყრელიძის წერილის“ საქმის მომწყობი და სათქმელი არაფერი აქვს, — სხვანაირად ფიქრი შეუძლებელია.

**საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. საფრანგეთის ორგანიზაცია.**

## კომინტერნი, მეორე ინტერნაციონალი და ჟორდანიას პარტია

მეორე და მესამე ინტერნაციონალის ურთიერთობა ახალ ფაზაში შევიდა. როგორც მოსალოდნელი იყო, მიზნისა და იდეოლოგიის ერთიდაიგივეობამ ბოლოს და ბოლოს ტაქტიკის ეპიზოდიური სხვადასხვაობა დასძლია. მეორე და მესამე ინტერნაციონალი ერთმანეთს უახლოვდებიან და საერთო ფრონტს ჰქმნიან. ამ საქმის თაოსნობა მეორე ინტერნაციონალს ეკუთვნის. იმ მოწოდებაში, რომლითაც ამ უკანასკნელის ბიურომ მიმართა მთელი ქვეყნის მუშებს გასულს თებერვალში, ცხადათ იყო გამოთქმული მესამე ინტერნაცონალთან მოლაპარაკების სურვილი.

ამ წინადადებას მოჰყვა კომინტერნის საინსტრუქციო წერილები, რომელიც დაეგზავნა მის ეროვნულ სექციებს და სადაც დირექტივები იყო მოცემული იმის შესახებ, თუ რა პირობები უნდა დაესვათ სოციალისტებისათვის, საერთო ფრონტის შესადგენად.

ამ ახალი კურსის პირველი დადებითი შედეგი იყო საფრანგეთის კომუნისტებისა და სოციალისტების გაერთიანება, „ფაშისტური“ საფრანგეთის წინააღმდეგ საერთო ბრძოლის წარმოების მიზნით. უნდა მართალი ითქვას, ეს გაერთიანება დიდ აქტიობას იჩენს. ახლად-შერიგებული მარქსისტები ხელი-ხელ ჩაკიდებული იბრძვიან როგორც შიგნით საფრანგეთში, ისე გარეთ კოლონიებში.

თუ კომინტერნმა მეორე ინტერნაცონალის თებერვლის მიმართვას პასუხი პირდაპირ არ გასცა და იქ აღძრული საკითხების გადაწყვეტა ეროვნულ სექციებს მიანდო, დღეს პირიქით, ასპარეზზე თვით კომინტერნი გამოდის. იგი მოუწოდებს მეორე ინტერნაციონალს, რომ შეერთებულის ძალით მიეშველონ საფრთხეში ჩავარდნილ ისპანიის რევოლუციას და ერთად შეებრძოლონ ბურჟუაზიული ევროპის იმ პოლიტიკას, რომელიც მიმართულია ისპანიის დღევანდელი რესპუბლიკანური მთავრობის დაცვისაკენ. არ შეიძლება ითქვას, რომ მეორე ინტერნაციონალი და მისი არმია ფსიქოლოგიურად არ იყოს მომზადებული ამ წინადადების მისაღებად. მართლაც, ამ ინტერნაციონალის მთელი რიგი კონგრესები, ისე როგორც მისი ეკზეკუტივის რეზოლუციები ყოველთვის ავალდებულებდენ ეროვნულ სოციალისტურ სექციებს, რომ ადგილობრივი ეროვნული მისწრაფებანი სხვერპლად მიეტანათ საერთაშორისო მუშათა კლასის უმაღლესი ინტერესებისათვის.

მეორე ინტერნაციონალი ყოველთვის საბჭოთა კავშირის დამცველად გამოდიოდა, როგორც მსოფლიო რევოლუციის კერისა. იგი აჯანყებით და რევოლუციით ემუქრებოდა ბურჟუაზიულ ქვეყნიერობას, თუ იგი ბოლშევიკების წინააღმდეგ იარაღს მიმართავდა.

დღეს ისპანიაა აქტიური რევოლუციის კერა ყველა ჯურის მარქსისტებისათვის. და როდესაც საკითხი ისმება ამ კერის დაცვის შესახებ და მეორე ინტერნაციონალს წინადადება ეძლევა, რომ ამ საქმეში მონაწილეობა მიიღოს, ჩვენ ვერა ვხედავთ იმ არგუმენტს, რომლის ძალითაც მას შეეძლოს ამ წინადადების უკუგდება.

რასაკვირველია, ყოველთვის შესაძლებელია მოულოდნელი დაბრკოლების წამოჭრა, მაგრამ ამ შემთხვევაში ამის შესაძლებლობა თითქო არც უნდა არსებობდეს, იმ ზომამდე იდენტიურია ამ ორი ინტერნაციონალის ფსიქოლოგიური, პოლიტიკური და იდეოლოგიური ცხოვრება და მოთხოვნილება.

ვნახოთ სინამდვილე რას გვეტყვის.

მეორე ინტერნაციონალის დამოკიდებულება კომინტერნთან ჩვენთვის იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც საქ. სოც.-დემ. პარტია წევრია ამ ინტერნაციონალისა და რამდენადაც იგი ვალდებულია დაემორჩილოს და ცხოვრებაში გაატაროს მისი დადგენილებანი. ყოველი საკითხი, რომელიც მეორე ინტერნაციონალს ეხება და მისგან პასუხს მოითხოვს, ეხება აგრეთვე საქ. სოც.-დემ. პარტიასაც და მის პასუხს მოითხოვს.

თუმცა, მეორეს მხრივ, საქართველოს ეროვნული განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაზრისით სრულიად შეუწყნარებელია ის პოზიცია, რომელიც მეორე ინტერნაციონალს უჭირავს კომინტერნისა და საბჭოთა მიმართ, მაგრამ ჩვენ არასოდეს არ გვინახავს, რომ საქ. სოც.-დემ. პარტიას და მის თავჯდომარეს ბ-ნ ჟორდანიას ეს პოზიცია როდესმე დაეგმოს და იგი საქვეყნოდ გამოეცხადებინოს, როგორც ყოვლად მიუღებელი მებრძოლი საქართველოს ეროვნული პოლიტიკისათვის!

პირიქით, ბ-ნ ჟორდანია და მისი პარტია მეორე ინტერნაციონალთან ერთად იცავენ საბჭოებს და ებრძვიან ყველას, ვინც იარაღით ხელში გაილაშქრებს მოსკოვის წინააღმდეგ! მეორე ინტერნაციონალთან ერთად მათ აღიარებული აქვთ დოკტრინალურად და ეკზეკუტივის საგანგებო რეზოლუციების სახითაც საერთაშორისო მუშათა კლასის ინტერესთა უზენაესობა და გაცემული აქვთ იმის დასტურიც, რომ მას ანაცვალონ ქართული ეროვნული ინტერესი და მისწრაფება!!

ეხლაც, როდესაც მეორე და მესამე ინტერნაციონალის გაერთიანება ალაგ-ალაგ უკვე ფაქტად არის გადაქცეული და მალე შეიძლება საერთაშორისო მაშტაბითაც განხორციელდეს, ჟორდანია და მისი პარტია არამც თუ ამის წინააღმდეგ ხმას არ იღებენ და არ ცდილობენ თავიანთი ეროვნული პოზიციის ჩამოკვეთას, არამედ,

პირიქით, გაუძალიანებლად ნებდებიან დაახლოვების მიმდინარეობას და შეგნებულად თანხმდებიან კომინტერნთან მისვლას და მოლაპარაკებას.

ასე მაგ., საქ. სოც.-დემ. პარტიის იმ განცხადებაში, რომელიც მეორე ინტერნაციონალის ეკზეკუტივის სხდომაზე, ციურიხში, ჰქონდა წარდგენილი, ნათქვამია შემდეგი: —

...„ჩვენ არ ვიქნებოდით წინაალმდეგი კომინტერნთან მოლაპარაკების, თუ უმთავრეს მინიმალურ პირობათ წამოყენებულ იქნება სოციალისტური პარტიების და ორგანიზაციების საბჭოთა კავშირში ლეგალურად გამოცხადება და მათთვის თავისუფალი მუშაობის და მოძრაობის მიცემა“.

ამას დასტურს სცემს ბ-ნი ჟორდანია, როგორც პარტიის თავჯდომარე!

ამგვარად, რა წამს მესამე ინტერნაციონალთან მოლაპარაკებისა და მორიგების საკითხი პრაქტიკულად დგება, ბ-ნი ჟორდანია და მისი პარტია მაშინათვე ივიწყებენ საქართველოს მძიმე ჭრილობებს და იმ მაღალ ეროვნულ მიზანს, რომელსაც ქართველმა ხალხმა ამ წლების განმავლობაში აუარებელი სხვერპლი შესწირა. ეს „ამბები“ მათ სალაპარაკო „მასალად“ მხოლოდ მაშინ სჭირიათ, როდესაც პერსპექტივაში არა სჩანს კომინტერნთან შეთანხმების შესაძლებლობა და როდესაც ეს მათთვის სხვა მხრივ არის გამოსადეგი!

ეხლა კი სხვა სიომ დაჰბერა და ბ-ნი ჟორდანიაც სხვანაირად იქცევა.

ბ-ნი ჟორდანია ურიგდება და ითანამშრომლებს კიდეც „რეაქციის“ წინაალმდეგ მესამე ინტერნაციონალთან, თუ მის პარტიას, რომელიც დღეს მთელი ქართველი ხალხის ერთ მეოთხედ პროცენტსაც არ შეადგენს, მიეცემა, როგორც პრივილეგია, მუშაობისა და მოძრაობის თავისუფლება! ჭირსაც წაუღია დანარჩენი 99 და სამი მეოთხედი პროცენტი ქართველობა! დაე მათ წინაალმდეგ ძველებურად იმუშაოს ჩეკამ! ეს აბა რა დიდი ყურადღების ღირსია! განა ამის ფასად ის არ იკმარებს, რომ ჟორდანიას და მის პარტიას საშუალება ექნება თავისუფლად დაბრძანდებოდეს ერის საერთო ტანჯვათა შორის, ისევე როგორც დღეს დაბრძანდება ორჯონიკიძე და მისი ამალა?!

ასეთია ჟორდანიას „ეროვნული“ პროგრამა, ასეთია მისი „ეროვნული“ ბრძოლა! არასოდეს ჟორდანია სხვანაირი არც ყოფილა!

**ორიგანი**

## პრესა

ჟურნალ „კავკაზის“ უკანასკნელ ნომერში დაბეჭდილია შემდეგი შენიშვნა ჩრდილო-კავკასიის რესპუბლიკის თავჯდომარის მოადილისა:

„ჟურნალი „პრომეთეს“ სპეციალურ ნომერში და საერთოდ პრესაში დაიბეჭდა ცნობა, რომ ქ. ბრიუსელში, ივლისის 14-ს მოხდა ხელისმოწერა ე. წ. კავკასიის კონფედერაციის პაქტზე.

ეს „პაქტი“ თითქოს დადებულია აზერბეიჯანის, საქართველოს და ჩრდილო კავკასიის ეროვნულ ცენტრებ შორის.

აზერბეიჯანის მხრიდან მას ხელს აწერენ: მ. ე. რასულ-ზადე, ყოფილი თავჯდომარე აზერბეიჯანის ეროვნული ყრილობისა და თავჯდომარე აზერბეიჯანის ეროვნული ცენტრისა და ა. მ. თობჩიბაში, თავჯდომარე აზერბეიჯანის ეროვნული დელეგაციისა და ყოფილი თავჯდომარე აზერბეიჯანის მთავრობისა.

საქართველოს მხრიდან — ნ. ჟორდანია, ყოფილი პრეზიდენტი საქართველოს რესპუბლიკისა და თავჯდომარე საქართველოს ეროვნული ცენტრისა, და ა. ჩხენკელი, საქართველოს ყოფილი სრულ უფლებიანი მინისტრი საფრანგეთში.

ჩრდილო კავკასიის მხრიდან — ბ.ბ. გ. სუნში, ი. ჩულიკი დ ატ. შაქმანი (ტიტულების დაუსახელებლად).

ყველას, ვინც ზერელედ მაინც გაცნობილია იმ მოვლენებთან, რომელთაც კავკასიაში ჰქონდათ ადგილი 1917-21 წ.წ. და კავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკების ისტორიასთან, კარგად მოეხსენება, რომ კავკასიის კონფედერაციის შექმნის იდეა ეკუთვნის ჩრდილო კავკასიის პასუხისმგებელ წარმომადგენელთა პოლიტიკურ ინიციატივას.

პირველად ეს იდეა მათ მიერ დასმული იყო, როგორც პრაქტიკული მსჯელობის საგანი — აზერბეიჯანის, საქართველოს და სომხეთის ეროვნულ საბჭოების წინაშე ბაქოსა და ტფილისში, ჯერ კიდევ 1918 წლის მარტში.

იმავე წლის პირველ აპრილს, ჩრდილო კავკასიის დელეგაციამ ტრაბიზონის საზავო კონფერენციაზე მკაფიოდ გამოსთქვა თავისი აზრი ამ საგანზე სპეციალურ მემორანდუმში, რომელიც მან წარუდგინა ოტომანის იმპერიისა და ამიერ კავკასიის სეიმის დელეგაციებს.

იმავე წლის ივლისში, როდესაც ბათუმის საზავო კონფერენციის მუშაობის პროცესში აზერბეიჯანმა, სომხეთმა და საქართველომ თავისი დამოუკიდებლობა გამოაცხადეს, ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკის სრულუფლებიან წარმომადგენლებმა ამ ახლად დაარსებულ რესპუბლიკათა მთავრობებს წარუდგინეს თავისი აზრი გადაუდებელი საჭიროების შესახებ კონფედერაციის სახით კავკასიის პოლიტიკური გაერთიანებისა, კავკასიის ხალხთა უზენაეს ინტერესთა თვალსაზრისით.

შემდეგშიაც არა ერთხელ განუმეორებიათ ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკის კვალიფიციურ წარმომადგენლებს მზგავსი მიმართვა, როგორც კავკასიის რესპუბლიკათა დამოუკიდებელი არსებობის დროს, ისე მათი განადგურების შემდეგაც, ემიგრაციაში...

სამწუხაროდ, ეს მრავალჯერ განმეორებული და დაჟინებული ცდები, რომლებიც მიმართული იყვნენ კავკასიის ერთობის შაექმნისაკენ, ყოველთვის იმსხვრეოდენ არა ნაკლებად შეუპოვარი ცხადი თუ ფარული ოპოზიციის წინაშე იმ ამიერ კავკასიის პოლიტიკურ მიმდინარეობათა და ჯგუფთა, რომელთა წარმომადგენლებმა ეხლახან ხელი მოაწერეს ბრიუსელში ე. წ. კავკასიის კონფედერაციის „პაქტს“. მიუხედავად ამ გამოქვეყნებული დოკუმენტის იურიდიული სიდუხჭირისა და მისი პოლიტიკური არარაობისა, ჩენ ბედნიერი ვიქნებოდით მას მივსალმებოდით, როგორც ისეთ ნაბიჯს, რომელიც მოწმობს კეთილ ცვლილებას ამიერკავკასიის პოლიტიკურ წრეების აზროვნებასა და განწყობილებაში, რომლებიც ისტორიის წინაშე მატარებელი არიან მძიმე პასუხისმგებლობისა იმისათვის, რომ მათ თავიანთი დამნაშაური პოლიტიკით, რომელმაც თავის დროზე ხელი შეუშალა კავკასიის გაერთიანებას, ხელი შეუწყეს მის კვლავ დამონებას.

ჩვენდა ღრმა სამწუხაროდ, იძულებული ვართ დავადასტუროთ, რომ ეს დოკუმენტი, რომელიც უეჭველად ნაკარნახევია ოპორტუნისტული ხასიათის მოსაზრებებით, წარმოადგენს ყოვლად უხეშ პოლიტიკურ სიყალბეს იმ ნაწილში, რომელიც ჩრდილო კავკასიას ეხება.

„ჩრდილო კავკასიის ეროვნული ცენტრი“, რომელიც პაქტშია აღნიშნული, როგორც ხელისმომწერი მხარე, გამოგონილი დაწესებულებაა; ხოლო ის პირები, რომლებიც მას ხელს აწერენ, თავიანთი წარსული მოღვაწეობითა და მათი სამწუხარო როლით ჩვენს ეროვნულ მოძრაობაში, ის დამიანებია, რომელთაც ყველაზე ნაკლები უფლება აქვთ ჩრდილო კავკასიის ეროვნული ინტერესების წარმომადგენლობაზე.

**ჰაიდარ ბამატი,**

**ეროვნული დელეგაციის თავჯდომარის მოადგილე, ყოფილი მინისტრი საგარეო საქმეთა.**

## ქართულ ხელოვნებათა ცენტრალური მუზეუმი

„ჟურნალ დე მოსკუ“-ს ცნობით, მეტეხის ციხე ქართულ ხელოვნებათა მუზეუმად უნდა იქცეს. ამავე დროს იქვე მოთავსდება ქართული ხელოვნების ისტორიის მეცნიერულ კვლევა-ძიებათა ინსტიტუტიც. მუზეუმის დირექტორის ბ. შავარდნაძის ცნობების მიხედვით, მუზეუმს ექნება შვიდი მთავარი განყოფილება: ხუროთმოძღვრებისა (საეკლესიო, სამხედრო და სამოქალაქო), ქანდაკებისა, ხუროთმოძღვრული კაზმულობისა, მხატრობისა (მოზაიკა, ფრესკები, მინიატურები და ხატები), გამოყენებითი ხელოვნებისა (ოქრომჭედლობა, არტისტული ნაქსოობა, ქანდაკება ხესა და ძვალზე), ერთი განყოფილება ახალი ხელოვნებისათვის და ბოლოს ერთი განყოფილება დაეთმობა სპარსულ მხატრობას, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული ხელოვნების ევოლუციაზე.

იმ ექვსი შენობიდან, რომელთაგანაც მეტეხის ციხე შესდგება, სამი იქნება დანგრეული, სამი სხვა მოგვარებული იქნება ცენტრალური მუზეუმის საჭიროებისათვის. სამი დანგრეული შენობის ნაცვლად აგებული იქნება სრულიად ახალი კორპუსი, აგრეთვე მუზეუმისათვის. როგორც ნავარაუდევია, მთელი ეს მუშაობა უნდა დამთავრდეს ამ წლის ბოლოში.

## ერთა ლიგის დამხმარე საზოგადოებაში

ოკტომბრის 7-ს შესდგა ერთა ლიგის დამხმარე საერთაშორისო ასოციაციის ქართული სექციის მორიგი კრება ბ-ნ ევგენი გეგეჭკორის თავმჯდომარეობით. კრებას ჩვეულებრივზე მეტი ხალხი დაესწრო. ყველას აინტერესებდა თუ რას იტყოდენ მომხსენებლები რუსეთის ჟენევაში მოსვლის გამო.

საანგარიშო მოხსენება გააკეთა ბ-ნმა გვაზავამ. მან აღნუსხა ყველა ის ღონისძიება, რომელსაც მიმართა მენშევიკურმა დიპლომატიამ საქართველოს საკითხისადმი ერთა ლიგის ყურადღების მისაქცევად. მაგრამ ამ ღონისძიებათ მიზნისათვის ვერ მიუღწევიათ; ერთა ლიგა საქართველოს გოდებისადმი ყრუდ დარჩა და ჩვენი ქვეყნის უხეშად დამპყრობი რუსეთი თავის წევრად მიიღო. ჩვენის აზრით, ეს ერთა ლიგისათვის უაღრესად საკომპრომენტაციო ფაქტი, საქართველოს საკითხის ლიგის დღის წესრიგიდან მოხსნაა, მაგრამ ასე არ ფიქრობს ბ-ნი მომხსენებელი და ის სრულიად მოულოდნელ დასკვნებს აკეთებს. ის ამ მოვლენას ქართული საქმისათვის სასარგებლოდ სთვლის და მომავალი დიდათ სანუგეშოდ ეხატება. ბ-ნმა გვაზავამ ეს უცნაური ოპტიმიზმი ახსნა შემდეგნაირად: ერთა ლიგაში შემოსვლამდის რუსეთს ჩვენ ვერსადა ვხვდებოდით; ის განზე იდგა და რაიმე ზედგავლენის მოხდენა შეუძლებელი იყო. ეხლა კი საშუალება გვეძლევა ჩვენი მოთხოვნილებანი პირისპირ წავუყენოთ. მეორე მოსაზრება: — რუსეთი ლიგაში მიიღეს, მაგრამ მას ყველა საჭირო ფორმალობა დღემდე არ შეუსრულებია, კრძოდ არ წარმოუდგენია თავისი საზღვრები და აი, როცა ლიგის სათანადო კომისიაში საზღვრებს წარადგენენ, მოხდება ლაპარაკი საქართველოზეო. ამ მომენტზე ბ-ნი გვაზავა დიდ იმედებს ამყარებს და მოითხოვს ჟენევაში წინასწარი მუშაობის გასაწევად შესაფერი პირების წარგზავნას.

მომხსენებლის ეს მოსაზრება ჩვენ შემცდარად მიგვაჩნია, რადგან, რუსეთი ლიგაში შემოსულია არა როგორც ერთი სახელმწიფო, არამედ როგორც ფორმალურად თავისუფალ რესპუბლიკათა ფედერატიული კავშირი. მაშასადამე, საზღვრების აღნიშვნის დროს დასახელებული იქნება არა რუსეთის, არამედ ფედერაციაში მყოფი რესპუბლიკების საზღვრები. საქართველოს საზღრები საქართველოს რჩება. ფორმალურად ყველაფერი რიგზეა და სათქმელიც არავის არაფერი ექნება. სხვა მხრივაც უსაფუძვლო იქნება ვიფიქროთ, რომ ლიგა, რომელმაც თავისი სიტყვა გასტეხა, უსამართლობაზე თვალი დახუჭა, ეხლა რამეში შეედავოს ზეიმით მიღებულ თავის სრულ უფლებიან წევრს.

მოხსენებისა და ბ-ნ ევ. გეგეჭკორის განმარტებების შემდეგ გაიმართა კამათი, რომლშიაც მონაწილეობა მიიღეს ბ.ბ. გრ. ცხაკაიამ, გ. კერესელიძემ, დ. ვაჩნაძემ და ვ. მაჩაბელმა.

**ა. ც.**

## აჯანყების 10 წლის თავი კოლონიაში

ქართველობამ საგანგებოდ თავი მოიყარა, რათა აღენიშნა აგვისტოს აჯანყების ათი წლის თავი. ამ აჯანყებასთან დაკავშირებულია დიდი მიზანი და დიდი სხვერპლი, ორივე სამწუხაროდ უშედეგოდ დამთავრებული. ამ აჯანყების მოგონება ჩვენი სულის მოთხოვნილებად არის გადაქცეული. მასთან დროს გატარება — ეს არის ზიარება იმ მიზანთან, რომელმაც იგი წარმოშვა. ეს არის საუბარი იმ ქართველებთან, რომელთაც ამ მიზნისთვის თავი დასდვეს. ამის განცდების დროს თვალწინ იშლება საქართველოს მთელი წარსული სამყარო. ცოცხალი და გარდასული საქართველო, ორივე ერთ არსებად გადაქცეული, იჭრება ქართველის სულში და იქ აღვიძებს იმ ძალას, რომელსაც სწამს საქართველოს გარდაუვალი მარადისობა და რომელიც სამშობლოს ბედის გამოსახსნელად გაძლევს მტკიცე რწმენას ყველა დაბრკოლებათა დაძლევისას... ეს არის ნამდვილი რელიგიური წუთები, ერის მისტიკაში გადასვლა; რომ მოგონების იდეამ ეს თავისი შინაარსი მოსძებნოს, რომ ქართველი სულიერად გაიზარდოს ამ დიდი სურათების ხილვის დროს, საჭიროა რომ იგი იყოს მოწყობილი მეტი ფსიქოლოგიური გაგებით, ვიდრე ეს დღემდე ხდება ჩვენში.

ჩვენ ვიქცევით ისე, როგორც ბარბაროსები, ვერ გავშორდით შაბლონს, გაისმის გაუთავებელი და უთავბოლო სიტყვები, არა სჩანს ზომა, არ სჩანს აზრი! კრებიდან გამოდიხარ გაბრაზებული და გულგატეხილი.

ქართველმა საზოგადოებამ უნდა იზრუნოს, რომ ეს აღარ განმეორდეს და მომავალში მაინც ასეთ იშვიათ ისტორიულ ეპიზოდების აღნიშვნას შესაფერი კულტურული ფორმა და შინაარსი მისცეს.

**დამსწრე**

## კავკასიის კონფედერაციის პაქტი

აზერბაიჯანის, ჩრდილო კევკასიის და საქართველოს ეროვნული ცენტრები, იღებენ რა მხედველობაში, რომ ერთა ყოველმხრივი განვითარება შესაძლებელია მხოლოდ მათი სრული დამოუკიდებლობის პირობებში, დარწმუნებულნი, რომ ამ მიზნის მიღწევა უაღრესად ძნელია გარეშე კავკასიის ყველა ძალების გაერთიანებისა საერთო საზღვრების ფარგალში, დარწმუნებულნი, რომ კავკასიის ერთა სასიცოცხლო ინტერესების დაცვა მოითხოვს მათი საგარეო პოლიტიკის და მათი ეროვნული თავდაცვის საერთო ხელმძღვანელობას, დარწმუნებულნი, რომ ამგვარი კავშირით კავკასიის თითოეული ერი მოიპოვებს რეალურ გარანტიას თავისი სუვერენიტეტისა, აუცილებელის ინტელექტუალრუი და მატერიალური ძალების სრული განვითარებისათვის, დარწმუნებულნი, რომ იღებენ რა კავკასიის რესპუბლიკათა კავშირის საფუძვლებს, ისინი ეყრდნობიან ყველა მათ თანამემამულეთა მხარის დაჭერას, ერთსულოვანნი იმაში, რომ კონფედერაცია, როგორც პოლიტიკური ფორმა კავკასიის სახელმწიფოთა მოცემულია ამ ქვეყნების გეოგრაფიული და ეკონომიური ერთობით, აცხადებენ შემდეგ საფუძვლებს კავკასიის კონფედერაციისას:

1. კავკასიის კონფედერაცია, უზრუნველყოფს რა შიგნით ეროვნულ ხასიათს და სუვერენიტეტს თითოეულ რესპუბლიკისას, იმოქმედებს საგარეოთ ყველა რესპუბლიკების სახელით, როგორც საერთაშორისო ერთეული უმაღლესი წყობისა. კონფედერაციას ექნება საზღვარი პოლიტიკური და საბაჟო.

2. კონფედერაციაში შემავალ რესპუბლიკების საგარეო პოლიტიკას უხელმძღვანელებს სათანადო ორგანოები კონფედერაციისა.

3. კონფედერაციის საზღვართა დაცვა პინდობა კონფედერაციის არმიას, შემდგარს კონფედერაციაში შემავალ არმიებისაგან, ერთ მთავარ სარდლობით რომელიც ექვემდებარება კონფედერაციის ხელმძღვანელ ორგანოებს.

4. ყოველივე დავა, რაიცა შეიძლება ატყდეს კონფედერაციაში შემავალ რესპუბლიკათა შორის და რომლის მოგვარება პირდაპირი მოლაპარაკების საშუალებით შეუძლებელი აღმოჩნდება, უნდა გადაეცეს სავალდებულო არბიტრაჟს, ან კონფედერაციის უზენაეს სამსჯავროს. კონფედერაციაში შესული რესპუბლიკები კისრულობენ ვალდებულებას უცვლელად მიიღონ და აღასრულონ მათი ყველა დადგენილებანი.

5. ექსპერტთა კომისია შეიმუშავებს უახლოეს დროში კავკასიის კონფედერაციის კონსტიტუციის პროექტს ზემოთ ჩამოყალიბებულ პრინციპების სახეში მიღებით: ეს პროექტი გახდება ბაზათ თითოეულ რესპუბლიკის პირველ დამფუძნებელ კრების მუშაობისათვის.

. ამ პაქტში დატოვებულია ადგილი სომხეთის რესპუბლიკისათვის.

აზერბაიჯანის სახელით: ე. რასულ ზადე, — აზერბაიჯანის ეროვნულ საბჭოს ყოფილი თავჯდომარე და აზერბაიჯანის ეროვნულ ცენტრის თავჯდომარე.

ალი მარდან ტობჩიბაში, აზერბაიჯანის რესპუბლიკის დელეგაციის თავჯდომარე და მთავრობის ყოფილი თავჯდომარე.

ჩრდილო-კავკასიის სახელით: გირი სუნშ. იბრაჰიმ ჩულიკ, ტაუსულტან შაკმან.

საქართველოს სახელით: ნოე ჟორდანია, — საქართველოს რესპუბლიკის ყოფილი თავჯდომარე და საქართველოს ეროვნულ ცენტრის თავჯდომარე.

აკაკი ჩხენკელი, საქართველოს ყოფილი სრულ უფლებიანი მინისტრი საფრანგეთში.

დადებულია ბრიუსელში 14 ივლისს 1934 წ.

## ყველაზე მოხუცებული კაცი

ინგლისური გაზეთების ცნობით, დედამიწაზე ყველაზე მოხუცებულ კაცად ითვლება ჩვენი თანამემამულე არტემი ლალიაშვილი, რომელიც დაბადებულია 1784 წელს, ტფილისის მახლობლად. მას უნახავს რუსის ჯარის შემოსვლა ტფილისში 1801 წელს.

## ქართული ბალი

დეკემბრის პირველ ნახევარში, ქართველ სტუდენტთა ასოციაციის მიერ გაიმართება ქართული ბალი ქალბატონ **მარიამ კვინიტაძის** დიასახლისობით.

მისამართი და პროგრამა ცალკე გამოცხადდება.

Gérante : L. SAINT-REMY.
Imprimerie « PASCAL », 13, rue Pascal, PARIS (5e)